№ 244 25 ნოემერი, ქვირა 1866—1879 25 ნოემბერი. ქვირა № 244

დროება

ᲣᲙᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ᲑᲐᲠᲔᲨᲘ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію „Дрозба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვისა—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ღირს შაურად.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ: [illegible] ასოზე 1 კაპ., [illegible] ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შემოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ღირს შაურად.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 28 ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲒᲘᲡᲗᲕᲔᲡ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲣᲞᲐᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ:

I

ᲠᲐᲡ ᲕᲔᲫᲔᲑᲓᲘ ᲓᲐᲠᲐ ᲕᲞᲝᲚᲕᲔ!

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲐᲛᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ, ᲙᲜ. ᲑᲐᲠᲑ. ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲘᲡᲐ.

II

ᲪᲝᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘ!

ᲕᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ, Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲡᲡᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ 7½ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

(3—1)

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲜᲐᲡᲐᲓᲘᲚᲘᲡᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ. ᲛᲘᲡᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲘᲓᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲒᲔᲑᲜᲔᲜ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲐ, ᲚᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲝᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ. ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲓᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲐᲛᲓᲘᲜ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲐᲛᲐ ᲘᲛᲐᲡ „ᲣᲠᲐᲡ“ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲗᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲓᲐᲛᲐᲪ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲐᲡᲐᲤᲔᲗᲘ ᲛᲘᲚᲘ, ᲝᲠ ᲔᲢᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲐ; ᲘᲡ ᲐᲛ ᲮᲣᲗᲘ-ᲔᲥᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲣᲨᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲬᲔᲚᲡ ᲝᲠᲐᲡ ᲗᲣᲛᲜᲐᲓ ᲒᲐᲣᲧᲘᲓᲜᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲐᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ; ᲔᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ 23 ᲬᲚᲘᲡᲐ, ᲥᲔᲠᲐ, ᲨᲣᲐᲢᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ; ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲓᲒᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ, ᲨᲣᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲡᲚ ᲔᲫᲐᲮᲝᲓᲐ.

ᲮᲐᲚᲚᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲤᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲐᲠᲪ ᲘᲥᲘᲓᲐᲛ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ; ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲐᲚᲐᲧᲐᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ ᲤᲐᲔᲢᲝᲜᲔᲑᲘ ᲘᲓᲒᲐᲛ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲐᲚᲐᲧᲐᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲠᲒᲔᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲢᲧᲣᲛᲝᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲞᲝᲔᲖᲓᲘᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲐ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲡᲗ.

ᲢᲝᲜᲜᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲛ ᲠᲔᲚᲡᲔᲑᲐᲛᲓᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ, ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲛ ᲐᲛᲝᲤᲘᲪᲠᲣᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲒᲐᲜᲨᲠᲐᲮᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲬᲐ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲪᲕᲘᲜᲓᲔᲡ. ᲚᲐᲚᲣᲛᲛᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲤᲔᲗᲥᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡᲐ ᲓᲐᲘᲠᲐ. ᲮᲛᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲖᲔ ᲓᲐᲘᲡᲛᲐ. ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲠᲔᲚᲡᲛᲔᲑᲘ ᲜᲐᲭᲔᲠ-ᲜᲐᲭᲔᲠᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ, ᲮᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢ ᲡᲐᲭᲔᲜᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲡᲠᲝᲚᲐ ᲚᲐᲦᲣᲛᲛᲐ; ᲑᲐᲒᲐᲭᲘᲡ ᲕᲐᲒᲝᲜᲘ ᲭᲐᲔᲠᲨᲘ ᲐᲐᲒᲓᲝ ᲓᲐ ᲧᲘᲠᲐᲖᲔ ᲓᲐᲔᲪᲐ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲔᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ; ᲛᲘᲪᲕᲘᲔᲓᲜᲔᲜ ᲘᲛ ᲡᲐᲮᲚᲡ, ᲩᲐᲐᲛᲢᲕᲠᲘᲔᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ, ᲠᲐᲛᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲔᲣᲬᲔᲡ-ᲛᲝᲚᲔᲣᲬᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ; ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲗᲔᲚᲡ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲓᲐᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲘᲙᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲑᲐᲕᲚᲘᲚ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ „ᲞᲘᲠᲘᲣᲢᲧᲕᲗᲐ ᲓᲐᲛᲤᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ.“

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲘᲧᲝ ᲗᲐᲕᲡᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲣᲤ. Ს. ᲨᲝᲠᲦᲐᲜᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ᲐᲪᲜᲝᲑᲐ ᲙᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲫᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲘᲚᲔᲗᲝ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ IM ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲛᲐᲠ-ᲗᲝᲗ ᲛᲐᲬᲐᲜᲬᲐᲚᲐ ᲣᲪᲢᲠᲝᲜᲝ ᲫᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ-ᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲕᲔᲡᲞᲝᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲔᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲫᲚᲚᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲬᲐᲜᲬᲐᲚᲐ ᲫᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲚᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲣᲤ. ᲑᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲥᲛᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲚᲔᲩᲘᲔᲑᲜᲘᲪᲐ; ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲗ 200 Მ. ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲕᲝᲝ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲚᲐᲠᲘᲑ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲔᲫᲜᲔᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲕᲐ, ᲐᲛᲘᲡᲒᲐᲛᲝ ᲣᲤ. Ა. ᲣᲝᲠᲚᲐᲜᲝᲕᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲒᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 200 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲐ; ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲪᲮᲐᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲚᲔᲩᲘᲔᲑᲜᲘᲪᲘᲡᲐ.

ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲣᲤ. Ა. Ს. ᲣᲝᲠᲚᲐᲜᲝᲕᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ 5,000 ᲔᲒᲖᲔᲛᲞᲚᲘᲐᲠᲘᲡᲐ ᲘᲛ ᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ ᲑᲐᲞᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲢᲝᲠᲛᲐ ᲣᲤ. ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲛᲐ.

*** ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲛᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲛᲨᲐᲙᲘᲡ“ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲛᲞᲐᲚᲘ ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲚᲔᲑᲐᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲘᲐᲤᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲚᲐᲠᲘᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲰᲧᲘᲓᲣᲚᲚᲝᲑᲡᲝ, ᲠᲘᲒᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲝᲜ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲡ.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ, 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲧᲣᲓᲠᲝᲑᲐ ᲔᲠᲗᲑᲐᲛᲐᲗ ᲨᲔᲫᲚᲔᲚᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲐᲖᲠᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲨᲘ ᲞᲠᲝᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡᲐ. ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲝᲗᲮᲘᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔ ᲐᲥ

ლაპარაკი ჰქონიათ; კიდეც იქამდის მისულა საქმე, რომ კინაღამ მოხერხებულა, ძაგრამ საქმეს დაბრკოლება მისცემია მის გამო, რადგან ქალაქს ვერ უჩვენებია ნამდვილი წყარო შემოსავლისა, რომლითაც დაფუძნება ამ კლასიკურ სასწავლებელისა შესაძლებელი გამხდარიყო.

ესე, საქმე დარჩომილა და აი ეხლა ხელ-მეორეთ მოუვიდა სიღნაღს მოწერილობა გუბერნიის უპრაველენიისაგან, რომლის აზრით სიღნაღი თუ შეიტანს 400 თუმანს და სახლს მისცემს, მაშინ მიეცემათ პროგიმნაზია. ძრიელ მოსახერხებელი პირობებია; თუ სიღნაღმა ახლა არ ისარგებლა ამ შემთხვევით, დიდხანს ველარ ეღირსება პროგიმნაზიის გახსნას.

ყველას ჰსურს ჰქონდეს პროგიმნაზია და მაშასადამე საშუალებამ არ უნდა მისცეს არაგვარი დაბრკოლება. საზოგადოთ გადაწყვიტეს, რომ სთხოვონ მთავრობას ამ სასწავლებელის დაარსება. ახლა მხოლოთ ეძებენ წყაროს, საიდამაც მოინახებოდეს ეგ 400 თუმანი; სახლზე კი არა აქვსთ დაბრკოლება, თავისი საკუთარი სახლი აქვსთ, რომელშიაც ეხლა იმყოფება სამოქალაქო სასწავლებელი.

საუბედუროთ, ხარჯის წყაროები ამოარჩიეს იმგვარები, რომ საქმე საეჭვოთ გადაიქცევა: ქალაქსა სურს სთხოვოს სასწორის შემოსავალს დაუმატოს ორი იმოდენა, რაც აქამდის ყოფილა. წინათაც ამაზე შეუტანიათ თხოვნა, და მთავრობას ნება არ დაურთვია იმ გონიერი მოაზრებით, რომ საზრდო და ნამეტნავათ უსაჭიროესი მოთხოვნილების საგნები დაძვირდება და საზოგადოთ მაზრაში სიძვირეს გაავრცელებსო; ამისათვის ძრიელ საეჭვოა, რომ მთავრობამ ამაზე ნება მისცეს.

მეორე წყაროს ეძებენ ხიდის შემოსავლისას. სიღნაღს საზოგადო გზა, გასაველელი ცხენით, ტროიკით თუ ურმით არა აქვს; ერთ ალაგას გზა ყოველთვის ძირს იწევს, ამოავსებენ მიწით თუ ფიჩხით, მაინც თავს არ იჭერს, რის გამოც ზამთარში და აედრიან დღეში გავლა აღარ შეიძლება ხოლმე. ამ გზაზე ბევრი ფულები დახარჯულა, ბევრს შრომას უქმათ ჩაუვლია, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის, ასე რომ ეხლა ქალაქი ფიქრობს ხიდი გააკეთოს ან რკინისა, ან ქვისა. რასაკვირველია, ამას დასჭირდება ფული; ქალაქი აპირებს ამოარჩიოს თავის წრიდგან სამი კაცი, გაგზავნოს მთავრობასთან, რათა ისესხონ რამოდენიმე ასი თუმანი სახელმწიფო დაწესებულ ბანკებიდგან, გააკეთონ ხიდი, როგორც მაგალითად ბორში, და გაწესებული ურემზე და ცხენოსანზედ იჯარის ფულებით სახელმწიფო ვალიც მოიშოროს და პროგიმნაზიასაც შემწეობა მისცეს.

მესამე სტატიასაც უმატებენ ყასბების შემოსავალს; მეოთხე ბანკის შემოსავლის იმედი აქვსთ.

თუ კი დავაკვირდებით, ადვილად გავიგებთ, რომ ამგვარი მოაზრებაები ემსგავსება ჰაერში წეროსთვის ხელისტაცებას: ჯერ არავინ იცის—მთავრობა ფულს ასესხებს თუ არა, და თუნდა კიდეც ასესხოს, არ შეიძლება, რომ მანამ ფულს გამოიტანენ და ხიდს გააკეთებენ, ხიდიდგან იჯარის ფულებს შეაქუჩებენ, სულ უკანასკნელი, სულ ნაკლები რომ ავიღოთ სამი წელიწადი გაივლის; ისიც ვინ იცის ხიდის შემოსავალი იმდენი იქნება, რომ ვალიც მოიშორონ და პროგიმნაზიასაც შეეწევონ? ბაგრდა ამისა ეხლა ქალაქიდგან კეთდება ტრაქტი ბომბორზე და პირდაპირ თელავში და ამ გზის დასრულებითვე, უნდა დაჯერებული ვიყოთ, რომ მგზავრი უფრო ივლის თელავ-ბომბორზე მშვენიერ მთების ჰაერში, შუა გამწვანებულ ტყე მინდვრებში, ვინემ გამხმარ სამგორის და ივრის დამწვარ მტვერიან გზაზე, სადაც დასალევ წყალსაც ვერა შოულობ. მაშასადამე უნდა ვიფიქროდ, თუნდ მოჩქარო მგზავრიც იყოს ნუხისაკენ მიმავალი, უფრო თელავზე გავლას ირჩევს, სანამ სიღნაღზე. რაც შეეხება სოფლის ურმის ტარებას; უნდა ვსთქვათ ჩვენდა სამწუხაროდ, რომ სოფლის ხალხი, რომელსაც მოაქვს რამე ხორაგი ანუ ნაწარმოები გასასყიდათ მაგ. ფქვილი, პური, ნესვი, საზამთრო, კირი და სხვანი, არ კი გაივლის ხიდზედ: მომავალი აღმოსავლეთის მხრიდგან არა საჭიროებს, იმისათვის ხიდი ზევითა რჩება; მომავალი დასავლეთის მხრიდგან ურემი, აღარ გაივლის ხიდზედ, თავში მაგ. ნუკრიანის ჩასავალში დადგება და მსყიდველი თითონ მიადგება მას თავის ფეხით. ამ ურმების გარდა თფილისის მგზავრი ურემიც იქნება ბლომათაო. იქნება იყოს, მაგრამ ვგონებ ის ურმები უფრო ხშირათ ივლიან ბაკურციხის ხევზე და ჩილაებანზე, სანამ სიღნაღზე. ცხენოსანი გამველელ-გამომველელი ხომ ყოველთვის აიცილებს იჯარის ფულებს იმას გზა ბევრი აქვს გასავლელი. მაშასადამე ხიდის შემოსავლის იმედი ძრიელ საეჭვოა.

(დასასრული შემდეგში)

სამართალი

ტატო წულუკიძის საქმე

ქავკასის სამხედრო ოლქის სასამართლოში *).

სხდომა 19 ნოემბერს.

(დასასრული)

ორბელვის ადვოკატი, პურცევანჩიკოვი. ბარდა ამისა რაც თქვა ჩემმა ამხანაგმა ამ ბრალდებულების გასამართლებლად, სანამ ჩემ კლიენტზე ვილაპარაკებდე, მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ყველას შესახებ. იმ გამოძიებაზე, რომელიც მოხდა აქ სასამართლოში. ატურიძემ არ ისურვა ჩვენების მოცემა. რატომ?

მე რომ ვთქვა სიმართლე აქ ტატო წულუკიძის წინ, ან თითონ ტატო როგორმე ან მისი დასტები ცოცხალს არ გადამარჩენენო... ბანა ესეთი სიმხთალე დასაჯერებელია ატურიძისაგან. ირე ან იმას უფრო იმისი ეშინია, რომ ტატო წულუკიძე და მისი ამხანაგები აქ საყოველთაოდ გაამტყუნებდნენ იმას. ატურიძემ სთქვა, რომ ბველესიანს დუქანი არ უჩვენებია, ციფიანი კი ამბობს დუქანი ატურიძემ მიჩვენაო. ამის გარდა დანდუროვს მე არ ვიცნობდიო. მსეც ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც ორივე ერთისოფლიდამ არიან. ეს წრვილი ტყუილები უბრალოთ არ არის ატურიძეს დიდი ინტერესი აქვს სხვას მოხვიოს თავზე მისი ბრალი.

დანდუროვი გამოცდილი მედუქნე არის. იმას ამხანაგობა აქვს მის ერთ მესოფლეს ატუროვთან. ატუროვი იმასთან ასაღებს მის ცუდ კაცობას.

ტერ-თამაზოვი ამბობს ექვსი კაცი დამეცაო. რუსული ანდაზაა: у страха глаза велики. იმას არ შეუძლია სწორეთ სთქვას რამდენი კაცი იყო. ის კარგათ იცნობდა ჩემ ელიენტს ორბელოვს, მაგრამ იმათში ის არ შეუნიშნავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სულ ყველა ამაებს სახეში მიიღებთ და გაამართლებთ ჩემ კლიენტს ორბელოვს.

ბველესიანის ადვოკატი: პროკურორი დიდს მნიშვნელობას აძლევს გამომეძიებელთან მიხდენილ ექსპერტიზას, მაგრამ იმას ივიწყებს, რომ ის ექსპერტებიც როგორც აქაურები, იმას ამბობენ, რომ ჩვენ გადაწყვეტით თქმა ამისი შეგვიძლიანო. უმიკაშვილი თუ ამბობს დახელოვნებული არა ვართ ეს მეტისმეტის სინიდისისაგამო არის, მაგრამ ტატიევმაც ხომ განაცხადა მე უმიკაშვილზე ნაკლებ ვიცი ეს საქმეო. ბველესიანის დაწერილიც რომ იყოს ის წერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ხომ იცით ტუსაღებს ბაქიობა უყვართ, ჩვენ ასეთი ყოჩაღები ვართ, ჩვენ ეს სასწაული ვქენითო... მე გთხოვთ გაამართლოთ ჩემი კლიენტი.

Უაზაროვის ადვოკატი Ალიხანოვი: ყოველ ცისმარე დღეს შემოდიან ტუსაღებთან და ართმევენ, თუ უნახეს ქალალდი, კარანდაში, კალამი... სად იშოვა, სად დაწერა Ბველესიანმა ეს წერილი თქვენ გაიგონეთ, რომ Ყიფიანი ვოდკას აძლევდა ხანდი ხან Ცატურიძეს. Ცატურიძე თითქო მისი აგენტი იყო. Იმას უნდი ტყუილი და მართალი ამბავი ეზიდა ამ Ყიფიანისთვის. Ცატურიძე სწერს ამ წერილს და რადგანაც ეძნელება მისი დაწერილი წერილი მანვე წაუღოს, უგზავნის Ტიმოფეევის ხელით, Ტიმოფეევის შესყიდვა ორ-შაურათ შეიძლება, ან ერთი სტაქანი ვოდკით. Არვინ იცის ვინ არის ეს Ტიმოფეევი: სახლი არა აქვს კარი და ბილეთი... Პროკურორს Უაზაროვზე სიტყვა არ უთქვამს. მე დარწმუნებული ვარ სასამართლო გაამართლებს იმას.

Თორმეტი საათი და 10 მინუტი იყო როცა უკანასკნელმა ადვოკატმა გაათავა ლაპარაკი. Ამის შემდეგ თავსმჯდომარემ შესწყვიტა სხდომა, რომელიც ისევ ხელ-ახლა გაიხსნა მეორე საათის 20 მინუტზე.

Პროკურორმა ხელ-ახლა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც უფრო ბეჯითად და უფრო ენერგიულათ ითხოვა ბრალდებულების სიკვდილით დასჯა. Ადვაკატებმაც მისცა იმათ რეპლიკა და ბოლოს თითონ ბრალდებულებმაც სთქვეს თავიანთი: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისა. 3 საათ ნახევარზე გაათავა სჯა და სასამართლო გავიდა ცალკე ოთახში განჩინების შესადგენათ. 6 საათზე და 12 მინუტზე სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განჩინება: Ტატო Წულუკიძე (23 წლისა) დაისაჯოს სიკვდილით, Ბველესიანი (22 წლისა) გაიგზავნოს სამუდამოთ კატორგაში, Უაზაროვი და Ორბელოვი კი განთავისუფლდეს ამ საქმეში.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა (Უპრავა) ამით აცნობებს Თფილისის 1 და 2 გილდიის ვაჭრებსა, რომ, თანახმად ქალაქის რჩევის 1879 წლის 5 ნოემბრის გარდაწყვეტილებისა, ამათ ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ დანიშნული გილდიის მოწმობის ფული უნდა წარადგინონ ვაჭრების Უპრავის (ტუპჩესკის Უპრავის) სადგომში (სომხის ბაზარი, Დიდი Ტალახიანი ქუჩა, Ისტამანოვის სახლი).

განცხადებანი

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან

ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით, მიმდინარე წლის 21 დეკემბერს დილის 10 საათიდან ქ. ქუთაისს. ბანკის სადგომზე, Ი. ხეჩინოვის სახლებში, საზოგადო ვაჭრობით, ხელ-მეორედ ვაჭრობის დაუნიშნავად, გასყიდულ იქმნებიან ხსენებულ ბანკში დაგირავებულნი მამულნი ქვემო აღრიცხულთა პირთა, წესდებისამებრ ბანკის ხვედრთა ფულთა მათ მიერ გადაუხდელობისა გამო.

ვაჭრობა მოისპობა მხოლოდ იმ მამულების შესახებ, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ისამებრ, შეავსებენ უკლისად გარდასახადთა ფულთა და აგრეთვე განცხადების ხარჯებს.

გვარი, სახელი, მამის სახელი და წოდება მოვალეთა.	რა გვარი მამულია.	სად მდებარეობს მამული.	ვალი შემოსატანი ფულითურთ.	
			მან.	კაპ
ბურიელისა, Ელეონორა მიხაილის ასული, თავადი.	Ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი აგეთივე სამზარეულოთი და 1,230 ოთხ-კუთხი საქენი ბალ-ეზოთი.	ქუთაისს. ბალახვანის ქუჩაზე.	4991	43
მურადაშვილი, Თომა პავლეს ძე, მოქალაქე.	Ერთ-სართულიანი ხის სახლი აგეთივე სამზარეულოთი და 806 ოთხ-კუთხი საქ. ეზოთი.	ქუთაისს, Ალექსანდროვის ქუჩაზე.	838	31
იგივე.	Ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, 54 ოთხ-კუთხი საქ. ეზოთი.	ქუთაისს, Ალექსანდროვის ქუჩაზე.	1713	62
იგივე.	სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 12 დესიატინა და 1820 ოთხ-კუთხი საქენი.	ქუთაისის, უეზდში საღორიაზე.	1504	32
ფერეთელი, ნეტორ Დიმიტრის ძე, თავ.	Ორ-სართულიანი სახლი, რომლის ძირა სართული ქვით-კირისა, ზოლო ზედა-ხისა, 900 ოთხ-კუთხი საქ. ბალ-ეზოთი.	ქუთაისს, Თვილისის ქუჩაზე.	6226	22
კიკიანისა, Ტასია ბლახუას ასული, აზ.	Ერთ-სართულიანი ხის სახლი, აგეთივე სამზარეულოთი და 144 ოთხ-კუთხი საქ. ეზოთი.	ქუთაისს, მეორე საპრისტავოში.	604	83
ჩხეიძისა, Მელანია ქაიხოსროს ასული, აზნაური.	ზვარი, ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 26 დესიატინა და 15 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელსა ლახუნდარას შორაპ. უეზ.	4146	24
ჯაფარიძე, Ტარიელ მერაბის ძე, თ.	Ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით 2 დესიატინი და 1800 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელსა ღარს რაჭის უეზდისა.	737	37
ჩიქოვანი, Სისო Მამუჩარის ძე, თავ.	Ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 31 დესიატინა და 200 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელსა ლასურს ლეჩხუმის უეზდისა.	1471	65
გოთერაშვილი, Აბრამ Დანიელის ძე, და **ელაშვილები**, Იოსებ და Აბრამ Შამელას ძენი, II გილდიის ვაჭარნი.	სახნავ-სათესი, ზომით 138 დესიატინა.	სოფელსა ჭყუშურს ქუთაისის უეზდისა.	26916	49
კიკიანისა, Ანნა Ფირანის ასული, აზ.	Ეზო და სახნავ სათესი, ზომით 9 დესიატინა და 695 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელსა პატრიკეთს, ქუთ. უეზდისა	739	28
ერისთავი, Ივანე �ტიას ძე, თავადი.	სახნავ-სათესი და ზვარები, ზომით 84 დესიატინა და 1028 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელთა: Აბაღლებას, Ინაშაურს და Უხუთს ქუთაისის Უეზდისა	7276	28
ხიხაძე, სოსია ბერიკას ძე, გლეხი.	Ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 3 დესიატინა და 228 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფ. საზანოს. შორაპნის უეზდისა.	334	17

ხიხაძე, მამუკა ბერიკას ძე, გლეხი.	ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით 1 დესიატინა და 1561 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა საზანოს, შორაპნის უეზდისა.	227	78
მაჭავარიანისა, აგრაფენა ბეკოს ასული, გენერალ-მაიორის მეუღლე.	სახნავ-სათესი, ზომით 26 დესიატინა და 100 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა ტყაჩირს ქუთაისის უეზდისა.	2089	20
ლოთქიფანიძე, ბიორგი როსტომის ძე, თავადი.	ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 378 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით.	ქუთაისს, ორპირის ქუჩაზე.	2110	52
ძუბენკოსა, მარიამ პეტრეს ასული, შტაბს-კაპიტანის მეუღლე.	ერთ-სართულიანი ხის სახლი, 368 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით.	ქუთაისს, ბალახვნის ქუჩაზე.	646	39
ზედგინიძე, ივანე იოსების ძე, ნადვორნი სოვეტნიკი.	ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, 300 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით.	ქუთაისს, მიხაილოვის ქუჩაზე.	12974	52
ერისთავისა, სოფიო მაიხოსროს ასული, თავადი.	ორ-სართულიანი სახლი, რომლის ძირა სართული ქვითკირისაა, ხოლო ზედა ხისაა, 80 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით.	ქუთაისს, ბალახვნის ქუჩაზე.	1099	69

(3—1)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იმის თან-დასწრებით იქნება პირველი და უკანასკნელი ვაჭრობა (უპერეტორჟკოთ) შემდეგს საგნებზედ;

1). 24 ნოემბერს 1879 წელსა იქნება ვაჭრობა **ავლაბარში** მდებარე საქალაქო მიწისა, სივრცით 1890 დესიატინის, და მეორე მიწის, სივრცით 237 დესიატინის, არენდით გაცემაზედ მომავალს 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდე.

2). 7 დეკემბერს ამა 1879 წელს იქნება ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ იმ შემოსავლის მოკრებისა, რომელიც ქალაქსა აქვს მტკვრით მოტანილი იმ ტივებისაგან, რომელნიც ქალაქის კუთვნილ ნაპირებზედ ჩერდებიან. ვადა ამ იჯარისა ითვლება მომავალი 1880 წლის 26 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

3). 7 დეკემბერს ამა 1879 წელსა იქნება ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ იმ ნავისა, რომელიც ქალქის ნავსადგურთან არის ვერაზე. ვადა ამ იჯარისა ითვლება ამ 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

4). 4 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა იმ ხარჯის იჯარით გაცემაზეო, რომელსაც ქალაქში მომუშავე ფაეტონები, დროჟკები, პოეოზკები და სხვ. (იზეოზნი პრომისელ) იხდიან ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ. ვადა ითვლება ამ 1880 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

5). 1 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ცხენის ხარჯის იჯარით გაცემაზედ. ვადა 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

6). 5 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ქალაქის სასწორისა და საწყაოებისა და საწყაობის შემოსაველის იჯარით გაცემაზედ. ვადა ითვლება 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

ყველა ამ იჯარებისა და არენდების პირობების (კანდიციების) ნახვა და გაცნობა მსურველთა შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის (უპრავის) კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(13—6)

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის

ზედამხედველი კომიტეტისაგან

ზედამხედველი **კომიტეტი** **თ**ფილისის გუბერნიის **თ**ავად-**ა**ზნაურთა **ს**აადგილ-**მ**ამულო ბანკისა, ამა **ბ**ანკის წესდების მე-83 § ძალით, **მ**ოიწვევს **ბ**ანკის **წ**ევრთ-**დ**ამწესებლებს **უ**ჩვეულებრივ **ს**აზოგადო **კ**რებისათვის, რომელიც იქნება ამა წლის **25 ნ**ოემბერს **ბ**ანკის სადგომში:

ბანსახილველი **ს**აგნები:

ბანკის წესდებაში შეტანა ურთი-ერთ პასუხის-გებისა იმ მამულებისა, რომელნიც შემდეგში გირაოდ შემოიტანებიან ბანკში, და ამის-და-გვარად შეცელა ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა.

(8—8)

აღვოკატი

ვლადიმირ ვლადისლავის ძე **მ**არცინ კვეიჩი გადავიდა **ა**ივ**ა**ზ**ო**ვ**ი**ს სახლში **ს**ომხის **ბ**აზარში, ფრანგების ეკკლესიის პირ-და-პირ, იმავე სახლებში, რომელშიაც იმყოფება **ა**ივ**ა**ზ**ო**ვის აფთიაქი.

(6—4)

უმორჩილესად ვსთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც კი უფ. **ბ**. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიიდამ ნისიათ, ანუ კომისიით უეზდის ქალაქებში ანუ სხვაგან წიგნები აქვსთ წაღებული გასასყიდათ, დღეის შემდეგ იმ წიგნების ფული მე გამომიგზავნონ, რადგანაც უფ. ჩარკვიანთან თანამდებობა დავსტოვე და ყველა ის ნისიები, რაც კი ჩემს დროს გავიდა, მე გარდმოვიღე ჩემზე და სამაგიერო უკვე გადაუხადე.

ადრესი ჩემი: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“

(5—3) ზ**ა**ქარია ჭიჭინაძე

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის **ქ**ალაქის **გ**ამგეობა გამოიხმობს მსურველთ მიიღონ თავის თავზედ იჯარით:

1) აშენება დროებითი ხის სავაჭრო სახლებისა ქახეთის მაედანზედ, **ა**ვლაბარში, და **რ**უსის **ბ**აზარში, და

2) გარდაკეთება და დაშენება ქალაქის სახლისა, რომელიც არის **ს**ა**პ**ი**ო**რ**ი**სა და **პ**ატარა **ბ**ოდოეოზნის ქუჩების კუთხეში.

ამ იჯარის აღების მსურველთ **შ**ეუძლიანთ გამოცხადდნენ ვაჭრობაზედ, **რ**ომელიც იქნება **ქ**ალაქის **უ**პრავაში ამ **ნ**ოემბრის თვის **15**-ს, ხუთშაბათს, **12** საათზედ.

ვაჭრობა სიტყვიერად იქნება და **ს**აქმე აქვე გარდაწყდება; ხელ-მეორედ ვაჭრობა აღარ დაინიშნება; შეიძლება მსურველმა კანვერტში დაბეჭდილი განცხადებაც შემოიტანოს.

მსურველს შეუძლიან ორივე ეს საგანი ერთად აიღოს იჯარითა და ან ერთი რომელიმე.

პროექტის, სმეტისა და **პ**ირობების ნახვა შეიძლება **უ**პრავაში მუდამ დღე (დღესასწაულებს გარდა) დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Ноября 1879 г. Типографія Меликова. **ბ**ეჭდავს. **ხ. ვ**ელ**ი**ჭ**ი**შ**ვ**ილ**ი**. **რ**ედ. **ს. ვ**ეხ**ხ**ი.